ეროვნული
ბიბლიოთეკა

„ამაღლება“

ალბომი

დედამიწაზე არის რაიონები, სადაც ბუნება მთელი სიმკაცრით და დაუნდობელი პირდაპირობით ამჟღავნებს თავის ხასიათს. მთებისა და მთაგრეხილების, ყინულოვანი მწვერვალების მასივები ქმნიან მკაცრი ჰარმონიის უსაზღვრო ნაირსახეობას და იშვიათი სილამაზისანი არიან. ამ მხრივ კავკასიონი მსოფლიოში ერთ-ერთი უნიკალური ქედია.

*

საქართველო მთიანი რესპუბლიკაა. ჩრდილოეთით მას კავკასიონის ქედი ეკვრის, რომლის ცენტრალური ნაწილი უმაღლესი და ურთულესი მწვერვალებით სვანეთს საზღვრავს. ბუნებრივი პირობების გამო ჩვენში მთამსვლელობის განვითარებას დიდი ყურადღება ექცევა. მაღალმთიან რაიონებში შექმნილია მთამსვლელურ-სასწავლო-სპორტული ბანაკებისა და ბაზების ფართო ქსელი.

კავკასიონის ქედის სამხრეთ ფერდობზე, მწვერვალ აილამას ძირში საქართველოს ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოება „განთიადის" მთამსვლელური ბანაკი „აილამა" მდებარეობს. მის მიდამოებში სხვადასხვა სირთულის მწვერვალებია. ისინი მოსახერხებელია როგორც ნიშნოსნებისა და თანრიგოსნების მოსამზადებლად, ასევე მაღალი კლასის სპორტული ასვლა განსახორციელებლად.

ბანაკში ორი სამანქანო გზით შეიძლება მისვლა: ერთი ქუთაისიდან, რაიონული ცენტრების — ცაგერის და ლენტეხის გავლით, მეორე, ზუგდიდიდან, მესტიის გავლით.

ქუთაისიდან მოასფალტებული გზა კურორტ წყალტუბოს შემდეგ საქართველოს ერთ-ერთ ულამაზეს კუთხეს ლეჩხუმს გაივლის, რაიონულ ცენტრ ცაგერში, მურის ხიდიდან იწყება ქვემო სვანეთი. გარდა სამანქანო გზისა ლენტეხის რაიონის სოფ. ჩიხარეშში ქ. ქუთაისიდან თვითმფრინავით 45 წუთში შეიძლება ჩაფრენა, აქედან ბანაკ „აილამამდე" 22 კილომეტრია. ზემოაღწერილი სამანქანო გზით კი ქუთაისიდან ბანაკ „აილამამდე" 150 კილომეტრია. ამ გზაზე უკანასკნელი სოფელი ცანაა. შემდეგ კი ყორულდაში, რომელიც ქვემო სვანეთის უკიდურეს ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარეობს. მეორე სამანქანო გზა ზუგდიდიდან, ზემო სვანეთის რაიონულ ცენტრის, მესტიის, გავლით აღმოსავლეთისაკენ მიემართება. გადალახავს უღვირის უღელტეხილს, შემდეგ მდინარე ენგურის ვიწრო ხეობით საქართველოს ერთ-ერთ მაღალმთიან სოფ. უშგულში ადის. სოფელი უძველესი კოშკების, ბაზილიკური ეკლესიის, რუსთაველისა და შხარას მწვერვალების ფონზე მშვენიერი სანა-

ხავია. უშგულიდან სამანქანო გზა ატ-კვერის უღელტეხილით ბანაკისაკენ გადადის. სოფლიდან ბანაკ „აილამამდე“ 20 კილომეტრია. (საერთოდ კი ზუგდიდიდან ბანაკამდე 180 კილომეტრია). ბანაკში ჩრდილოეთ კავკასიიდან სოფ. ბეზინგიდან, წანერის, აგრეთვე სოფ. ზემო მალყარეთიდან შარივცეკისა და ზესხოს უღელტეხილებითაც შეიძლება მისვლა.

მართალია, ბანაკი არც თუ ისე დიდი ხნის წინ დაარსდა, მაგრამ იგი უკვე დიდი პოპულარობით სარგებლობს როგორც საბჭოთა ისე უცხოელ მთამსვლელებს შორის. აქ მთამსვლელური სეზონის (ივნისი-სექტემბერი) განმავლობაში ახალბედები ეუფლებიან მთამსვლელობის ელემენტარულ ჩვევებს, ხოლო თანრიგოსნები იმაღლებენ სპორტულ კვალიფიკაციას.

„ბანაკ „აილამას“ რაიონში ცენტრალური კავკასიონის ურთულესი და უმაღლესი მწვერვალებია თავმოყრილი. აილამა ზღვ. დ. (4525 მ), შხარა (5184 მ), რუსთაველის პიკი (4906 მ), ჯანღა (5051 მ), უფრო მოშორებით კი კათინი (4974 მ), გესტოლა (4860 მ) და სხვ.

ბანაკიდან ვახუშტის უღელტეხილით გზას შხარას ყინვარისა და მდ. ენგურის სათავემდე მივყავართ. 4 — 6-კაციანი სპორტული ჯგუფი ამ გზას 5 — 6 საათს ანდომებს. ენგურის სათავის, გვერდით ყინვარის მორენასთან ღამის სათევია. აქედან შეიძლება დაილაშქროს როგორც შხარას მასივის ყველა მწვერვალი, ასევე ოქროს ჩარდახი ზღვ. დ. (3800 მ) 3-ა კატეგორიის სირთულის, ქარიშხალა (3800 მ) 2-ა და 3-ბ კატეგორიის სირთულის, უშგული (4300 მ) 5-ბ კატეგორიის სირთულის, საპოვნელა (4320 მ) 3-ბ კატეგორიის სირთულის და სხვა მწვერვალები.

სამხრეთ შხარიდან ხალდეს ყინვარზე კარეტის უღელტეხილით შეიძლება გადასვლა. აქედან მოსახერხებელია რუსთაველის პიკის, ჯანღისა და სხვა მწვერვალების დალაშქვრა. ღამის სათავეებიდან მდინარე ენგურის გაყოლებით თავქვე თუ დავეშვებით გზა სოფ. უშგულში ჩაგვიყვანს. იქიდან სამანქანო გზა სვანეთის ქედით ატკვერის უღელტეხილზე გადადის, ხოლო ბილიკით სოფ. უშგულის ფერმებთან შეიძლება ჩასვლა. ფერმებიდან ლანქორიდან, როგორც მას ადგილობრივი მცხოვრებლები უწოდებენ, ბილიკს მწვერვალ დადიაშის ძირში ღამის სათავემდე მივყავართ. ბანაკ „აილამადან“ ამ გზით მწვერვალ დადიაშზე, ისევე როგორც სხვა 1-ბ კატეგორიის სირთულის მწვერვალზე, მასობრივი ასვლები ეწყობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბანაკ „აილამადან“ კარგად მოჩანს მწვერვალები „ვახუშტი“ ზღვ. დ. (4000 მ), აილამა (4525 მ), წურუნგალა (4222 მ) და ცანა (3200 მ), რომელთა ღამისსათევამდე ფეხით რამდენიმე საათის სავალია. ბანაკ „აილამადან“ ცანას უღელტეხილით 5 — 6 საათში ზესხოს ულამაზეს ხეობაში შეიძლება ჩასვლა. ჩრდილოეთ კავკასიიდან აქ ხშირად გადმოდიან მთამსვლელები შარივცეკისა და ზესხოს უღელტეხილებით.

ზესხოს ხეობაში თავმოყრილია შემდეგი მწვერვალები: ალ. ჯაფარიძის სახელობის (შავი უცნობი) ზღვ. დ. (4100 მ) 4-ბ კატეგორიის სირთულის, თეთრი უცნობი (4200 მ) 4-ა კატეგორიის სირთულის, ზესხო (4054 მ) 1-ბ კატეგორიის სირთულის, ეგნატე ნინოშვილის სახ. (3054 მ) 1-ბ კატეგორიის სირთულის, სულხან-საბა ორბელიანის სახ. 1-ბ კატეგორიის სირთულის 4054 მ), კ. მარჯანიშვილის სახ. (3850 მ), 2-ა და 2-ბ კატეგორიის სირთულის, მაჩხაფარი (3550 მ), 2-ბ კატეგორიის სირთულის, შარი-თაუ (3905 მ) 1-ლი კატეგორიის სირთულის, ფითნარგინი (4184 მ) 3-ა და 3-ბ კატეგორიის სირთულის, ლაფურის ხეობის დასაწყისში, მთავარ ქედზე ფასის მთა (3786 მ) 3-ა და 3-ბ კატეგორიის სირთულის, საიდანაც სათავეს იღებენ დასავლეთ საქართველოს მდინარეები ზესხოს ხეობაში კარგი საბანაკო ადგილებია მინერალურ წყლებთან, ზემო ფერმებთან, ერთი საათის სავალზე მდინარე ზესხოს მარჯვენა ნაპირზე. აქედან შეიძლება ძირითადად ყველა მწვერვალების დალაშქვრა გარდა ალ. ჯაფარიძის სახ. და თეთრი უცნობისა, რომლებსაც მისასვლელები სოფ. ზესხოდან აქვთ.

ბანაკ „აილამადან“ ზემო სვანეთის ულამაზეს სოფლებში საინტერესო ტურისტული მოგზაურობის მოწყობა შეიძლება, ეს რაიონები მდიდარია ხუროთმოძღვრული ძეგლებით: რაიონულ ცენტრში, მესტიაში, მხარეთმცოდნეობის მუზეუმია, რომლის ეზოშიც განისვენებს გამოჩენილი ქართველი მთამსვლელი, სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი, საერთაშორისო კლასის ოსტატი, საბჭოთა კავშირის არაერთგზის ჩემპიონი კლდეზე ცოცვაში ციხელი ხერგიანი.

ქვემო სვანეთის რაიონული ცენტრის, ლენტეხის, მახლობლად სოფ. ჩიხარეშთან მდებარეობს დასავლეთ საქართველოში განთქმული ბალნეოლოგიური კურორტი „მუაში“.

ლენტეხი სამანქანო გზით დაკავშირებულია რესპუბლიკის ქალაქებთან.

ᲓᲐᲓᲘᲐᲜᲘ
ᲒᲔᲡᲢᲝᲚᲐ
ᲭᲐᲜᲚᲐ
ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲘ
ᲡᲐᲛᲮ ᲨᲮᲐᲠᲐ
ᲨᲮᲐᲠᲐ
ᲝᲥᲠᲝᲡ ᲩᲐᲠᲓᲐᲮᲘ
ᲭᲐᲠᲘᲨᲮᲐᲚᲝ
ᲨᲣᲒᲨᲣᲚᲘ
ᲡᲔᲕᲝᲜᲔᲚᲐ
ᲕᲐᲮᲣᲨᲢᲘ
ᲜᲔᲛᲣᲠᲐᲜᲘ
ᲨᲜᲔᲛᲣᲡᲝ
ᲞᲘᲚᲐᲕᲔ
ᲬᲣᲠᲣᲜᲯᲐᲚᲐ
ᲪᲐᲜᲐ
ᲓᲔ ᲮᲐᲢᲚᲘ
ᲓᲔ ᲮᲐᲠᲔᲯᲘᲡ
ᲓᲔ ᲔᲜᲒᲔᲢᲘ
ᲓᲔ ᲮᲝᲠᲬᲚᲘᲡᲐᲨᲘ
ᲡᲐᲠᲔᲯᲘᲡ ᲭᲔᲚᲘ
ᲡᲐᲑᲘᲜᲘᲡ ᲛᲗᲐ
ᲡᲔᲚᲘᲗᲠ

ᲣᲕᲘ ᲣᲪᲜᲝᲑᲘ
ᲗᲔᲗᲠᲘ ᲣᲪᲜᲝᲑᲘ
ᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲐ ᲛᲝᲚᲘ
ᲖᲔᲓᲐᲖᲜᲘ
ᲜᲘᲜᲝᲣᲕᲘᲚᲘ
ᲤᲘᲗᲜᲐᲠᲒᲘᲜᲘ
ᲡᲡ. ᲝᲠᲒᲔᲚᲘᲐᲜᲘ
ᲥᲐᲠᲯᲐᲜᲘᲣᲕᲘᲚᲘ
ᲣᲡᲐᲮᲔᲚᲝ
ᲥᲐᲩᲮᲐᲤᲐᲠᲘ
ᲣᲐᲠᲘ - ᲗᲐᲣ
ᲣᲣᲣᲐᲠᲐ
ᲤᲐᲡᲘᲡ ᲛᲗᲐ
ᲛᲓ. ᲛᲝᲡᲔᲚᲘᲡᲬᲧᲐᲠᲘ
ᲛᲓ. ᲖᲔᲡᲮᲣᲠᲐ
ᲛᲓ. ᲚᲝᲠᲔᲗᲣᲚᲘ
ᲥᲘᲗᲮᲐᲠᲝ
ᲡᲐᲜᲓᲠᲝᲡ ᲯᲘᲯᲘ
ᲒᲣᲔᲒᲐᲗᲘᲐ
ᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲐ ᲛᲝᲚᲘᲡ ᲬᲧᲐᲠᲝᲔᲑᲘ
ᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲐ ᲛᲝᲚᲘᲡ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

0284 — 175
Х ——————— 396 — 75
М 601 (08) — 75

ეროვნული
ბიბლიოთეკა

РХ 4623/1

п 60/6

ავტორი ი. ხაბულიანი. რედაქტორი გ. გელაშვილი. მხატვარი ვ. ქურთიშვილი.
ტირაჟი 7.500. შეკვ. № 1252. ფასი 11 კაპ. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“,
თბილისი, მარჯანიშვილის 5. 1975. თ. ფ. ბ. ს. პლეხანოვის 50

Я. ХАБУЛИАНИ. **Лагерь «Айлама».** (На грузинском языке). Издательство «Сабчота Сакартвело», Тбилиси, Марджанишвили, 5, 1975